საპატრიარქო სიგელი

ბუქარესტის

ყოველთა წმინდათა მონასტრის შესახებ[1] -

კონსტანტინოპოლი, 1714 წლის სექტემბერი

ჩვენს უმდაბლესობას როგორც პირადი და კერძო საკითხი, ყოველთვის ისე აღელვებდა ის საჭიროებანი და აუცილებლობანი, რომლებიც ზრუნვას საჭიროებს უფლის წმინდა სახლებში ყველგან - არა მხოლოდ ოდითგანვე პატივდებულ მონასტრებში, რომლებიც მთებსა და გამოქვაბულებში მდებარეობს და რომლებშიც მარადმდინარად და ყოველდღიურად იდიდება და პატივიდება ღმერთი, არამედ ღვთითგონიერ, უსათნოეს და სიქველეთმოყვარე კაცთა მიერ სულ ახლახან აგებულ შენობებშიც, და აფიქრებინებს, რომ უნდა ვზრუნავდეთ მათზე და მეურვეებად ვექმნათ მათ, თანადგომა გამოვხატოთ, რაც განმტკიცებულია საპატრიარქოს მიერ დადასტურებული დაბეჭდილი წერილებით. ამასვე შეეწევა საპატრიარქო პრივილეგია, რომელიც კანონებითა და ბრძანებებით, სამეფო ბრძანებულებებითა და მოწოდებებით ცდილობს, აირიდოს და ხელი შეუშალოს ნებისმიერ თავდასხმას და წინააღმდეგობის შემცველ მდგომარეობას, რაც კი შეიძლება მათ თავს დაატყდეთ. ამ მიმართულებით გაკეთებულმა კეთილმა საქმეები, რომლებსაც ძალისა და ძალაუფლების მქონენი სჩადიან განუწყვეტლივ, ძალიან დიდი წარმატებისა და ზრდის საფუძვლად იქცნენ. შესაბამისად, მათი გამძლეობა და მედეგობა ყოვლისმმუსვრელი დროის მიჯნას სწრაფად გასცდება.

ამიტომაც, სხვადასხვა დროს მოღვაწე ამ მსოფლიო ტახტის პატრიარქები ვალდებულნი არიან მისდიონ ტრადიციას და უკლებლივ ყველამ ამგვარი მზრუნველობა გამოიჩინოს, სათანადო ენთუზიზმითა და ძალით, ღვთისათვის მოსაწონი საეკლესიო საქმებითა და ქმედებებით, და დახმარების ხელი გაუწოდოს მას, ვინც ამას ითხოვს - თვით საპატრიარქო დიდებულებისა და აღმატებულების მადლით.

აგერ თვით უნგროვლახეთის უწმინდესი და ღირსი მიტროპოლიტი, რომელიც, საკუთარი სიწმინდისამებრ, იმთავითვე აღვსილი იყო უწყვეტი და უშრეტი წადილით ღვთის ღირსი და წმინდა საქმე ჩაედინა, ზემოდან ღვთაებრივი შთაგონებითა და მოწოდებით დათანხმდა თანადგომისა და დახმარების მიღებას საქმეში, ახსოვდა რა უფლის ხმა, რომელიც ამბობს: „რამეთუ არვის ძალ-უც ყოფად კეთილისა თჳნიერ ჩემსა“[2]. მას განზრახული ჰქონდა, რომ საძირკვლიდანვე აეშენებინა უმშვენიერესი მონასტერი სადიდებლად და სათაყვანებლად და სამსხვერპლოდ სამების მიერ განდიდებული ღვთისა, სახსენებლად და დიდებად ყოველთა წმინდანთა. ამდენად მან, ვინაც მუდამ აღასრულებს მის მოშიშთა ნებას, სიხარულით მიიღო და შეისმინა მისი უწმინდესობის თხოვნა და განზრახვა და ღირს-ჰყო იგი ნათელი მოეფინა იმისათვის, რაც სწადდა და აღესრულებინა იგი სრულად საქმეებით.

შიგ ბუქარესტში, სადაც ასევე სამეუფო ტახტი ფუძნდება, კონკრეტულ ადგილას, საძირკვლიდან დაიწყო და ააშენა წმინდა მონასტერი ყოველთა წმინდათა სახელზე, ბრწყინვალედ გაამშვენიერა და შეამკო იგი ეკლესიით, რომელიც გამოირჩევა ტექნიკური აგებულებითა და ქვათა ჰარმონიით როგორც შიგნიდან, ისე გარედან, და არა მწირი, არამედ უხვი და დიდი თანხაც გაიღო საკუთარი ხარჯით. ასევე ააგო სენაკები, დამაშვრალ [3]წმინდა მამათა მოსასვენებლად, იმ განზრახვით, რომ უსათნოესი და უწმინდესი ძღვენი მიერთმია ღვთისთვის, მისი უწმინდესობის მცირე და მოკრძალებული ძალების შესაბამისად, როგორც აღინიშნა, ღვთისადმი მადლიერების ნიშნად და შეუწყვეტელ ქებათა აღსავლენად.

და არა მხოლოდ ეს - როგორც მშვენიერსა და ულამაზეს პატარძალს ამზითვებენ, ისე შესწირა და მიუძღვნა ყველაფერი ამ მონასტერს, რაც კი საჭირო და აუცილებელია წმინდა მონასტრებისათვის: მინდვრებით სავსე უძრავი ქონებით დაწყებული - ვენახები და ბაღები და მდელოები და ტყიანი ადგილები, წყლის წისქვილები და სხვა მსგავსნი, მოძრავი ნივთების ჩათვლით, როგორებიცაა - სხვადასხვა წმინდა ჭურჭელი, უძვირფასესი რელიკვიები და საკმაო რაოდენობის ვერცხლის ჭურჭელი, რომლებიც საჭიროა საღვთო საიდუმლოს შესასრულებლად და ყველა საეკლესიო მსახურებაში დიდი და სამეუფო დღესასწაულებისათვის, კვირის წირვებისა და წმინდანთა მოხსენიების, ზეიმების დროს და ყოველდღე, ყველა წმინდა მონასტერში დამკვიდრებული ძველი წესის მიხედვით.

ასევე, შესწირა ტვირთის გადასაზიდად და მინდვრების სახნავად გამოსადეგი ცხენები და სხვა შინაური ცხოველები, რომელთაგანაც მონასტრებს მოგება და სანოვაგე შემოსდით. მსგავსადვე - ფრინველებიდან შინაური სახეობები, რომლებიც ვარგისია საჭმელად და სამასპინძლოდ სტუმრებისა და ახალმოქცეულთათვის, ნაცნობებისა და უცნობებისათვის და მათთვის, ვინც წმინდა მონასტერს რწმენით ეწვევიან მოსალოცად. მისმა უწმინდესობამ არა პირადი სარგებლისა და სიამოვნებისთვის გამოიჩინა ამგვარი კეთილშობილება, არამედ უპირველესად და თავისთავად, მათში[4] უფლის [მადლის] განდიდებისათვის და დამაშვრალ მამათა ლოცვებითა და ვედრებებით მათი ცოდვების მონანიებისათვის. ყოველი ქმნილი - ანგელოზთა და კაცთაგანი - ხარობს რწმენით და მადლიერია. და მეორეც, რაც ამას მოსდევს და საერთოა ყოველთათვის - ცოცხალთათვისაც და შესვენებულთათვისაც - ეს არის გამოხსნა. ეს ყოველივე, რაც ითქვა მღვდელმთავრის სასარგებლო და კეთილი ნაღვაწის შესახებ, ამით არ დამთავრებულა, არამედ მისი მზრუნველობა კიდევ უფრო მეტად განივრცო: რადგანაც მისთვის, ვინაც იღვწის არ კმარა მხოლოდ საქმის გაკეთება, არამედ მისი დარჩენა დიდხანს და საიმისო გზების მოძიება, რომ ყოვლისშთანმთქმელმა დრომ ძალადობრივად არ შთანთქას იგი.

ამდენად, მის უწმინდესობას სწადია და მიზნად აქვს, ეს წმინდა მონასტერი, რომელიც მან ააგო, არ ექვემდებარებოდეს და არ ემორჩილებოდეს რომელიმე პირს, არც საპატრიარქო მმართველობის ქვეშ იყოს, არც რომელიმე წინამძღოლისა და მმართველის ძალაუფლების ქვეშ, არამედ დარჩეს თავისუფალი, თვითმმართველი და უბატონო საუკუნოდ და სამარადჟამოდ, რომელზეც იზრუნებს და მართავს მხოლოდ იღუმენი და ეპიტროპები,[5] რომლებიც უკვე დაადგინა [მონასტრის] სამართავად და სამეთვალყურეოდ, და მომავალში, სხვადასხვა დროს მყოფი იღუმენები და არანაირი აღმატებულების, ჩინისა თუ სტატუსის გამო, არ შეეძლოს ვინმე სხვას რამე ხერხით ჩაერიოს მონასტრის მართვაში - არც სიტყვით და არც საქმით, არც ბრძანებით და არც ძალადობრივი თქმით: „ეს ასე იყოს, ის კი - ისე“, არამედ თითოეულმა დაიცვას ერთი და იგივე საზღვრები, შორს დაიჭიროს თავი მონასტრისგან, [მის საქმეებში] ჩაურევლად.

ამისა და მრავალი სხვა რამის შესახებ, რაც წმინდა მონასტრის შემადგენლობას, კარგ მართვასა და წარმატებას შეეხება, თავად ღვთისთვის სათნო მღვდელთმთავარმა თავისი გამჭრიახი ნააზრევი ოცდათორმეტ თავად შეკრა, სათითაოდ მონიშნა, გამოყო და ხელი მოაწერა, თავისი სამღვდელთმთავრო ბეჭედი დაადო და ამით დაადგინა, დაადასტურა, დაამტკიცა საკუთარი სურვილი და რჩევა, ეპიტიმია[6] დაადგინა მათ მიმართ, ვინც ოდესმე გაბედავს, რომ მცირედით ან დიდად შეეხოს და შეცვალოს მისი შინაარსი, თუნდაც ერთი სიტყვა ან წერტილი. სხვა დანარჩენი კი შეეხება შემდეგს: განსაზღვრა თუ რა ხერხითა და როგორ უნდა მართოს იღუმენმა[7] [მონასტერი] - ღმერთისმიერი მოშიშებითა და ჭეშმარიტების განცხადებით; მონასტრის ნებისმიერი მოსავლისა თუ შემოსავლიდან მიღებული მოგების, გასავლისა და სხვა გარდაუვალი ხარჯების, მათი ერთად შეკრებისა და მონასტრის ხარჯის შესახებ - თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ იღუმენები და ეპიტროპები ნებისმიერ დროს - ყოველივე ნათლად განაცხადა. მსგავსადვე - მამათა სასმელ-საჭმლისა და შესამოსელის საკითხი და მათი სხვა საჭიროებებიც განსაზღვრა; ასევე ისიც, თუ რა ჰმართებთ [მონასტერში] მოღვაწე მამებს - როგორ უნდა იღვაწონ

წესიერად და ღვთისმოშიშებით, როგორ უნდა ქმნან სიქველის საქმენი უსაზღვრო გულმოდგინებითა და სიყვარულით, მშვიდობიანად და აუღელვებლად, როგორც სჩვევიათ სამყაროში განწესებულებს მათი აღთქმისამებრ, როგორ დაუღალავად და უსაყვედუროდ უნდა ემსახურონ და დაშვრნენ მონასტრის საჭიროებებისათვის, და იმის შესახებ თუ როგორ უნდა მიიღონ ნებისმიერი პირი და უმასპინძლონ მონასტერში ღვთისმოშიშებით მოსულებს.

ამასთან, საუბარია უფლის მიერ შესვენებულთა მოხსენიებაზე და იმაზე, თუ რა თანხა უნდა დაიხარჯოს წმინდა მამათა სამარხებისა და დაკრძალვის მიმართულებით; აგრეთვე - ოთხი დღესასწაულის თაობაზე, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება ზეიმით, ფსალმუნების, საგალობლებისა და სასულიერო სიმღერების თანხლებით, მონასტრის ღვთისნიერი ქტიტორისა და უფლისმიერ საყვარელ წმინდა მამათა მოსახსენებლად, - რომელთა შესახებაც, ვისაც სურს, მარტივად შეუძლია შეიტყოს მისი უწმინდესობის ამ წერილიდან და გაეცნოს ამის შემქმნელის ბრძნულსა და ღვთისგან შთაბერილ შთაგონებას, რაც ყოველთვის არის შემწე სულისა და საამო ღვთისა, როგორც მიზეზი საყოველთაო გამოხსნისა [8].

მისი უწმინდესობის ჭეშმარიტების დასამტკიცებლად, დასადასტურებლად და განსამტკიცებლად, ჩვენი უმდაბლესობა სიამოვნებითა და სიხარულით იღებს რა მის ამ თხოვნას და მიიჩნევს სამართლიანად, სასარგებლოდ და ღვთისგან კურთხეულად, ჩვენი საპატრიარქო დაბეჭდილი წერილით ადასტურებს და განაცხადებს უწმინდეს მიტროპოლიტთა და სულიწმინდის მიერ საყვარელთა კრების საერთო აზრს, რომ ზემოთხსენებული მონასტერი, რომელიც საძირკვლიდან ააშენა ბუქარესტში ყოველთა წმინდათა სახელზე ხსენებულმა უწმინდესმა, მთელი თავისი საკუთრებითა და ქონებით, უძრავი და მოძრავი შეწირულობებით, სენაკებით, წმინდა შესამოსელითა და ვერცხლის ჭურჭლით, ამ ჟამიდან მოყოლებული იყოს და დარჩეს თავისუფალი, უბატონო, დაუმონებელი და სრულიად თვითმმართველი, ხელშეუხებელი და გაუთელავი ნებისმიერი პირისაგან - იქნება იგი საპატრიარქო, სამღვდელმთავრო თუ სამმართველო წოდებისა, და სხვა ნებისმიერი საერო

აღმატებულებისა თუ სტატუსისგან შეუბღალავად წარმართონ და გაუძღვნენ მას მხოლოდ და მხოლოდ მასში სხვადასხვა დროს [მოღვაწე] იღუმენები და ეპიტროპები. ამგვარადვე, რაც კი წერია ოცდათორმეტ თავში და რასაც მისი უწმინდესობის წერილი ხელმოწერით ადასტურებს, ყოველივე ურყევადაა მიღებული და გაზიარებული, რათა შეუცვლელად, გადაუნაცვლებლად და სრულიად შეურყვნელი დარჩეს ამ საუკუნის ბოლომდე. მათ კი, ვინც [მონასტერს] მართავს და უძღვება, ჰქონდეს ხელშეუხებელი და ურყევი გარანტია და პირობები და ყველას - სასულიერო და საეროთაგანს, პატარასა და დიდს - ჰმართებს დაიცვას იგი, შეეწიოს და დაეხმაროს მონასტერს შეძლებისდაგვარად, კეთილად ეღვაწოს და მის მოწყობაზე იზრუნოს, უხვად შესწიროს და ქველმოქმედად ექცეს, გაიღოს მისთვის იმ ქონებიდან, რომელსაც უფალი უბოძებს. ამ კეთილ საქმეთა და ქველმოქმედებისათვის კი მოიხსენიებოდნენ მონასტერში მისი შემწეები - უწყვეტად და სამარადისოდ და ყოვლისმპყრობელი ღმერთისაგან მიეგოთ მათ ღირსეული საზღაური მიგების დღეს. დაე, ვერავინ გაბედოს ოდესმე შეცვალოს რამე მცირედით თუ დიდად იმაში, რასაც ეს სამღვდელმთავრო წერილი ამტკიცებს და ადასტურებს, რამე დაამატოს ან მოაკლოს მას. რამეთუ საზარელია, ცოცხალი ჩავარდე ღვთის ხელში[9].

ხოლო ის, ვინც საკუთარი ძალაუფლებით აღუდგება ამას - ადგილობრივ მღვდელმთავართაგან თუ წინამძღოლთა და მმართველთაგან, თუ ნებისმიერი სხვა სტატუსის მქონეთაგან, და შეეცდება დაიმონოს და დაუმორჩილოს ეს წმინდა მონასტერი ნებისმიერ სხვა პირს, ან შერყვნის ან შეამცირებს ან გადაასხვაფერებს ამ ნაწერს - თვითნებურად და თავხედურად, სიტყვის მიუგებლად მიეცეს საშინელ სამსჯავროს განკითხვის დღეს, როგორც დამნაშავე, რომელმაც მარადიული ანათემა დაიმსახურა.

აწ, გადაეცეს ეს ჩვენი პერგამენტზე ბეჭედდასმული მსოფლიო საპატრიარქო სიგელები ამ წმინდა მონასტერს მტკიცებულებად, ნიშნად უსაფრთხოებისა და დაცვისა, მარადიულ განცხადებად და სახსოვარად.

მხსნელიდან 1714 წელი, სექტემბრის თვე, ინდიქტიონის [10] 20.

† კოზმასი - წყალობითა ღვთისათა კონსტანტინეპოლისა და ახალი რომის მთავარეპისკოპოსი და მსოფლიო პატრიარქი[11].

† ჰერაკლეასა და რედესტოსის [ეპისკოპოსი] გენადიოსი.

† ნიკეის [ეპისკოპოსი] გენადიოსი.

† ქალკედონის [ეპისკოპოსი] კონსტანდიოსი.

† დერკოსის [ეპისკოპოსი] ნიკოდიმოსი.

კომენტარები:

---

[1] ტექსტი „საპატრიარქო სიგილიონი ბუქარესტში ყოველთა წმინდათა მონასტრის შესახებ „Πατριαρχικό γράμμα σχετικά με την Ι.Μ. Αγίων Πάντων του Βουκουρεστίου8 - Κωνσταντινούπολη, Σεπτέμβριος 1714“ - Hurmuzaki, ტომი14, ნაწილი I, გვ. 629-634, დოკუმენტი N 609. Πατριαρχικὸν σιγίλλιον περὶ τῆς ἐν Βουκουρεστίῳ μονῆς τῶν Ἁγίων Πάντων – Hurmuzaki, τ.14ος , μέρος α', σσ.629-634, έγγραφο αρ.DCIX. ბერძნულიდან თარგმნა თათია მთვარელიძემ. რუმინულ თარგმანთან შეჯერდა სალომე ჯაფიაშვილისა და ანასტასია ზაქარიაძის მიერ იხ.დოკუმენტი *„Gramata patriarhală referitoare la Mănăstirea Tuturor Sfinților din București - Constantinopol, septembrie 1714“* რომელიც დაბეჭდილია კრებულში Sfantul Antim Ivireanul, Scrisori, a 2-a, revizuita, editura Basilica, *București* , 2014, გვ. 108-118. თავის მხრივ ამ დოკუმენტის ხელნაწერის ასლის მოძიება და პუბლიკაცია მომზადდა ანთიმის ცნობილი მკვლევარის ნიკოლაი იორგას მიერ 1915 წელს წყაროდან “რუმინეთის ისტორიის ბერძნული დოკუმენტები“ .

ამ დოკუმენტს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ანთიმოზ ივერიელის თანამედროვეთა, კონკრეტულად უმაღლეს იერარქთა მიერ, მისი საქმიანობის შეფასების მიმართულებით. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სულ რაღაც ორ წელიწადში გარკვეული პოლიტიკური კლიმატის შეცვლასთან დაკავშირებით შეფასება მკვეთრად რადიკალურად იცვლება.

წერილ წარმოადგენს დოკუმენტურ მტკიცებულებას იმის თაობაზე თუ რა ტიპის ღვთისმსახურების ლიტურგიკულ წიგნს წარმოადგენს ანთიმოზისეული ტიპიკონი. იგი აღწერს ანთიმოზ ივერიელის მიერ დაარსებულ მონასტერში გამეფებულ გარკვეულ და სავალდებულო წესებს, იმ მოთხოვნებს, რომლებიც იქ სუფევდა. ანთიმის ტიპიკონი სრულიად ორგინალური და ამის გამო საინტერესო სათვთისმეტყველო დოკუმენტია. იგი სინას მთის ტიპიკონისა და ათონის მთის ტიპიკონის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს. ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევთ გაეცნოს ანთიმოზ ივერიელის ყოველთა წმინდათა სახელობის წმინდა მონასტრის ტიპიკონს. ანთიმი გამორჩეულ, ორიგინალურ თეოლოგიურ ნაწარმოებში გვთავაზობს დარიგებებს, რომელებიც 32 თავად არის დასახსრული. ანთიმის „ტიპიკონში“ თავმოყრილია მონასტრის მთელი მართვა-გამგეობა, მონასტრის შემოსავლებიდან მთელი წლის განმავლობაში ღარიბთა და გაჭირვებულთათვის მოწყალების გაცემის წესი. თავად ანთიმი ამბობს, რომ დოკუმენტი “ ამ სახით დადგენილია ჩვენ მიერ, ქტიტორის მდაბალი უნგროვლახეთის მიტროპოლიტის ანთიმოზ ივერიელის მიერ. მაღალ ყოვლად უბრწყინვალესი მთავრის იო კონსტანტინე ბრინკოვიანუს ბასარაბ ვოევოდას მმართველობის ჟამს“. იხ. ვრცლად. ანთიმოზ ივერიელი“დიდაქეები და სხვა თხზულებები“. თბილისი, 2016. გვ.195-225.

[2] შდრ. იოანეს სახარება, 15:5: „თჳნიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც ყოფად არცა ერთი“.
[3] ბერძნულ ტექსტში გამოყენებულია სიტყვა“ Κειμήλια“, რაც ნიშნავს რელიკვიას, ასევე საეკლესიო სიწმინდეებს, წმინდა მამათა ნეშტს. აქ სენაკის მნიშვნელობა აქვს. რუმინულ ტექსტში გამოყენებულია სიტყვა-Chilie.
[4] ანუ: ხალხში.
[5] ეკლესიაში საერთო საქმეთა წარმმართველი, ადმინისტრაციული მმართველი, ზედამხედველი. დღეს მონასტერში მას უწოდებენ ეკონომოსს, წინამძღვრის მოადგილეს, მამასახლისს. იგი საერო პირია, რომელის ფუნქციაა მონასტრის საყოფაცხოვრებო საქმიანობის მოგვარება, ეკონომიკური საკითხები-სამეურნეო საქმიანობა, მშენებლობა და სხვ.
[6] .ანთიმოზ ივერიელი დაწვრილებით განმარტავს თუ რა სახის დანაშაულს რა სახის საეკლესიო სასჯელი შეესაბამება მის მიერ სპეციალურად შექმნილ „ყოველთა წმინდათა სახელობის წმინდა მონასტრის ტიპიკონში“, საეკლესიო სწავლებასა“ და „კანონთა თავებში“.

[7] აქ უნდა ვიგულისხმოთ მონასტრის წინამძღვარი.
[8] „ყოველთა წმინდათა სახელობის წმინდა მონასტრის ტიპიკონში ანთიმი ცალკე თავს უძღვნის ამ საკითხს. იგი წერს „გვსურს და ვადგენთ: მუდმივად, ყოველ წელს ჩატარდეს წირვები ოთხი წმინდანის საპატივცემულოდ, რომლებიც გამოსახულნი არიან მცირე კლიროსთან არსებულ ხატზე. ასევე ამ დღეებში გაიცეს მოწყალება უპოვართათვის.

სამ სექტემბერს წმინდა ანთიმოზ (ნიკომიდიელის) პატივსაცემად გაკეთდეს დიდებული კოლიო და ხატის წინ დიდი სანთელი დაინთოს. 40 ეკლესიაში სათითაოდ დარიგდეს ლეის

მეოთხედი, რათა იქაურმა მღვდლებმა შეკვეთილი წირვები ჩაატარონ და მოიხსენიონ იმჟამინდელი მთავარი, მღვდელმთავარი და ასევე კიდევ ხუთი სახელი: იოანე, მარია/მარიამი(წმინდა ანთიმოზ ივერიელის მშობლების სახელები). მღვდელმონაზონი მაკარი(წმინდა ანთიმოზ ივერიელის პირველი ვლახელი სულიერი მოძღვარი იყო, რომელმაც, როგორც ჩანს, დიდი წვლილი შეიტანა ანთიმოზის სულიერ ჩამოყალიბებაში. მღვდელმონაზონ მაკარის გარდაცვალების შემდეგ ანთიმოზი გახდა მისი სულიერი მემკვიდრე და ჩეტაცუიას მონასტრის წინამძღვარი), მღვდელმთავარი თეოდოსი – უნგრო–ვლახეთის (ბუქარესტის) მიტროპოლიტი, რომლის ანდერძითა და რეკომენდაციით, მისი გარდაცვალების შემდეგაც, რიმნიკის ეპისკოპოსი ანთიმოზი არჩეულ იქნა უნგროვლახეთის მიტროპოლიტად და ცოდვილი მღვდელმთავარი ანთიმოზი. რადგან ჩვენი მფარველისა და მოსახელის, წმინდა ანთიმოზის, პატივსაცემად ყოველ წელიწადს ჩვენ (ტრადიციულად) გამშვენებულ წირვას ვატარებთ.

ყოველ 6 დეკემბერს წმინდა ნიკოლოზის პატივსაცემად მომზადდეს დიდებული კოლიო და მისი ხატის წინ დიდი სანთელი აინთოს. გაჭირვებულებს დაურიგდეთ 40 ბანი. ამას ვადგენთ, რადგან ამ ადგილის მოუხერხებლობის გამო, ჩვენ მისი სახელობის ეკლესიის დაშლა და სხვაგან აშენება მოგვიწია.

ყოველი წლის 5 თებერვალს, წმინდა მოწამე აღათიას (სიცილიელის) ხსენების დღეს, ერთი ღარიბი გოგონა შეიმოსოს პერანგით, კაბით, წაღებითა და სარტყლით და მას ხელზე მიეცეს 30 ბანი. მაგრამ ეს გოგონა არ უნდა იყოს ერთ-ერთი იმ სამიდან, რომლებიც დიდ ხუთშაბათს უნდა შემოსონ და არც ის, რომელსაც მოწყალება უნდა მიეცეს ქორწინების ჟამს. ამ საქმისათვის დაიხარჯოს სამ -ნახევარი ტალერი. ამას ვადგენთ, რადგან ამ წმინდანის ხსენების დღეს, ღვთის შთაგონებით, გადავწყვიტეთ ამ ეკლესიის აშენება.

ყოველი წლის 17 მარტს, წმინდა ალექსი ღვთისკაცის ხსენების დღეს, ერთი ღატაკი ვაჟი შეიმოსოს პერანგით, საცვლებით, ჩოხით, შარვლით, წაღებით, ძვირფასი ბეწვის ფაფახითა და ქამრით და მას ხელზე მიეცეს 30 ბანი. ოღონდაც ეს ყმაწვილი არ უნდა იყოს ერთ-ერთი იმ სამიდან, რომელიც დიდ ხუთშაბათს უნდა შემოსონ. ამ საქმისათვის დაიხარჯოს ოთხი ტალერი. ამას ვადგენთ იმიტომ, რომ ამ წმინდანის ხსენების დღეს მაკურთხეს მღვდელმთავრად. ამიტომაც დავაწესეთ, რომ ყოველი ზემოთ ნახსენები წმინდანისათვის შესაბამის დროს ჩატარდეს ხოლმე ჩვენი სულის საცხოვნებლად მოსახსენებელი ღვთისმსახურება“. იხ. ანთიმოზ ივერიელი.“დიდაქეები და სხვა თხზულებები“. თბილისი, 2016. გვ. 206-207.

[9] თავად ანთიმოზ ივერიელი ამის შესახებ „ყოველთა წმინდათა სახელობის წმინდა მონასტრის ტიპიკონის“ პირველივე თავში ასე წერს: „ეს წმინდა ეკლესია, რომელიც ღვთის სადიდებლადა და ყოველთა წმინდანთა მოსახსენიებლად და თაყვანისცემისთვის აღვაშენე, ჩემი მრავალი ღვაწლის ნაყოფია. მე იგი დიდი სიყვარულითა და ღირსებით შევწირე და

დავუმორჩილე ჩვენს ღმერთს, მაცხოვარ იესო ქრისტეს, რადგანაც ის არის ყოველთა მბრძანებელი.

გადავწყვიტეთ, რომ მონასტერი სრულიად თავისუფალი იყოს: იგი არავის ემორჩილებოდეს და მასზედ არავინ მბრძანებლობდეს - არც ქვეყნის მთავარი, არც მღვდელთმთავარი, რომელიც ჩემ შემდეგ დადგება. და არც ერთი თავადი. ხოლო თუ რომელიმე სასულიერო, ან საერო პირი (რაიმე მიზნით ანდა საშუალებით, რომელსაც მისი გონება მოიფიქრებს) მაინც მოინდომებს მის დამორჩილებას და მონასტრის, ან მის კუთვნილებაში მყოფი რამე ნაწილის, ვინმესთვის შეწირვას, იგი შეჩვენებულ და შეუნდობელ იქნეს ყოვლისმპყრობელი ღვთის მიერ, მიეცეს ანათემას ამ და საუკუნო ცხოვრებასა შინა და საშინელი სამსჯავროს ჟამს მხილებულ იქნეს ყველა წმინდანის მიერ“. ანთიმოზ ივერიელი.“დიდაქეები და სხვა თხზულებები“. თბილისი, 2016. გვ. 201202.

[10] ბიზანტიაში კონსტანტინე დიდის მიერ დადგენილი სამოქალაქო ახალი წლის ათვლა გაუქმდა ახალ დროში. ინდიქტიონით წელთაღრიცხვა შემორჩა მხოლოდ საეკლესიო აქტებში.

[11] პატრიარქი კოზმას III (კოზმა /კოსმა III) Πατριάρχης Κοσμάς Βυζάντιος; (+ 1736) ალექსანდრიის, კონსტანტინოპოლისა და სინას მართლმადიდებელი ეკლესიების მთავარეპისკოპოსი. 1714-1716 წლებში კონსტანტინოპოლის პატრიარქი, 1711-1714 და 1723-1736 წლებში ალექსანდრიის პატრიარქი.

დოკუმენტური წყაროებით დგინდება, რომ იგი უკვე 1700 წელს სინას მონასტრში მოღვაწეობს, როგორც მასწავლებელი, მოძღვარი და საუკეთესო მქადაგებელი. 1703 წელს იგი ხიროტონიზებულია არქიეპისკოპოსად. სინას მონასტერში იგი 1706 წლამდე მსახურობს. სავარაუდოა, რომ ანთიმოზ ივერიელი, როგორც სინას მთის მეტოქიონის წევრი, სწორედ სინას მთის მონასტერში მოღვაწეობის წლებიდან იცნობს მას. 1711 წელს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ხელშეწყობით კოზმას ირჩევენ ალექსანდრიის პატრიარქად, 1714 წელს იგი ტოვებს ტახტს, რადგანაც მას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტახტს შესთავაზებენ.

1716 წლის 23 მარტს მას კონსტანტინოპოლის პატრიარქის ტახტიდან განაწესებენ და სინას მთაზე აგზავნიან. აქ მას ევალება მონასტრის ბიბლიოთეკის მოწყობის ურთულესი სამუშაოების წარმართვა. 1723 წელს ალექსანდრიის პატრიარქ სამოელის გარდაცვალების შემდეგ კვლავ ირჩევენ კონსტანტინოპოლის პატრიარქად, კოზმასის სახელით ალექსანდრიის კათედრას იგი გარდაცვალებამდე,- 1736 წლამდე,- უდგას სათავეში.